საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის

გამგეობის სხდომის ოქმი #10

ქ. თბილისი 6.12. 2022 წელი

2022 წლის 6 დეკემბერს გაიმართა ბაფის გამგეობის სხდომა, რომელიც ჩატარდა ბაფის ოფისში (წერეთლის გამზირი 61). სხდომა დაიწყო 16.22 საათზე და დასრულდა 20.10 საათზე. სხდომას ესწრებოდნენ გამგეობის წევრები: რუსუდან ჟორჟოლიანი (გამგეობის თავმჯდომარე); ნიკო ბაკაშვილი; ნოდარ ებანოიძე; მზევინარ გურაბანიძე; თამარ ცუხიშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი; გიორგი კვინიკაძე; მიხეილ აბაიაძე; დავით პაპიაშვილი; თეიმურაზ ფარცხალაძე. სხდომას არ ესწრებოდნენ გამგეობის წევრები: მურად ნარსია და გიორგი ხმალაძე, რომელიც ქ. რუსუდანის განცხადებით, ესაუბრა მას ტელეფონზე, მიაწოდა ინფორმაცია, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა სხდომას და კენჭისყრაში მონაწილეობისათვის თავისი ხმა გადასცა ბატონ ნიკო ბაკაშვილს. სხდომას (ხმის უფლების გარეშე) ესწრებოდა ბაფის მრჩეველი რევაზ ძაძამია, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი თემურ აბესაძე და აღმასრულებელი დირექტორი ლავრენტი ჭუმბურიძე.

სხდომის თავმჯდომარე - რუსუდან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი - შორენა გამიაშვილი

განსახილველი საკითხები:

1. საერთო კრებაზე: ხმის დათვლის პროცედურებზე დაკვირვება; სტუმრების მოწვევა; დამსახურებული წევრების დაჯილდოება; კომიტეტების ანგარიშები.

2. გამგეობის საქმიანობის თვითშეფასება და ბატონი მურად ნარსიას მიერ ბაფის საჯარო შეფასებებზე მსჯელობა.

3. მიმდინარე საკითხი
- წესდების ცვლილებების პროექტზე დებატების წარმართვის საკითხებზე აზრთა შეჯერება.

.....

საკითხი 2: გამგეობის საქმიანობის თვითშეფასება და ბატონი მურად ნარსიას მიერ ბაფის საჯარო შეფასებებზე მსჯელობა.

მოისმინეს რუსუდან ჟორჟოლიანის ინფორმაცია, რომ საერთო კრებისათვის 24 დეკემბერს გამგეობის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენამდე, გამგეობის წევრებს და კომიტეტებს

გაეკეთებინათ საქმიანობის თვითშეფასება და მოსაზრებები მიეწოდებინათ ანგარიშის წარდგენამდე.

შემდეგ საკითხთან დაკავშირებით, გამგეობის თავმჯდომარემ მიმართა გამგეობის წევრებს: ,,ალბათ ყველა ვთანხმდებით, რომ ჩვენ, როგორც ბაფის დღევანდელი ხელმძღვანელობა - მოვალე ვართ ვუპასუხოთ ჩვენი წევრებისა და დაინტერესებულ მხარეთა შეკითხვებს კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით და ეს წარვმართოთ პროფესიული პასუხისმგებლობითა და ეთიკური მოთხოვნების დაცვით: სამართლიანად და მიუკერძოებლად სუბიექტური შეფასებების და პიროვნების დისკრედიტაციის გარეშე.

მაგრამ ასევე ვალდებული ვართ ჩვენი წევრებისა და ამომრჩევლების წინაშე ვუპასუხოთ იმ საჯარო განცხადებებს, შეფასებებსა და ბრალდებებს, რომლებიც გამგეობის წევრის ბატონ მურად ნარსიას მიერ ჟურნალ ,,ააფ-ში" გამოქვეყნებულ წერილსა **„მხარს არ ვუჭერ ბაფის დამოუკიდებლობის დაკარგვის მცდელობას" (**დანართი - N2), წევრებისადმი ელ ფოსტაზე დაგზავნილ მიმართვასა (დანართი N3) და ბატონმა მურად ნარსიას 16 ნოემბერს, ბაფის გამგეობისადმი გაგზავნილ წერილშია (დანართი 1) გაჟღერებული.

პატივცემულო გამგეობის წევრებო, გთავაზობთ ცალ-ცალკე ვიმსჯელოთ ამ ორ საკითხზე, კერძოდ, პირველ რიგში შევაფასოთ ბატონი მურად ნარსიას მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები და მეორე, შევჯერდეთ წესდების ცვლილების პროექტთან დაკავშირებით დებატების (მათ შორის ზემოთხსენებულ საჯარო განცხადებებში დასმული საკითხების ირგვლივ) წარმართვის სკითხზე. ''

მომხსენებელმა აქვე მიაწოდათ ინფორმაცია, რომ ბატონ მურად ნარსიას მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის მიმართ შენიშვნა და განსხვავებული მოსაზრება არ დაუფიქსირებია. მას სხდომაში მონაწილეობაზე წერილობითი (ელ.ფორმით) თანხმობა ჰქონდა გაცხადებული და სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოიწერა, რომ სხდომაზე დასწრებას ვერ ახერხებს (ელ.მიმოწერა ოქმს თანერთვის). მომხსენებელმა აღნიშნა, საკითხის მგრძნობელობიდან გამომდინარე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი მონაწილეობა ამ საკითხების განხილვაში, რომ საკითხის განხილვის მთავარი მიზანი სწორედ ის იყო, რომ გამგეობის წევრს, ბატონ მურადს თითონ მიცემოდა საშუალება კოლეგებთან, გამგეობის სრულ შემადგენლობასთან, მოეხდინა თავისი გამონათქვამებისა და ქმედებების თვითშეფასება და მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელა წევრებს.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ განსახილველი ინფორმაციები მას გამგეობის წევრებთან, მათ შორის ავტორთანაც წინასწარ ჰქონდა დაგზავნილი, საიდანაც, შესაბამის ამონარიდებთან ერთად, მას მომზადებული ჰქონდა რამდენიმე კითხვა, რომელზეც პასუხების მოსმენას, პირველ რიგში, ბატონი მურადისგან ელოდებოდა და შემდეგ იგივე კითხვებზე თხოვდა გამგეობის წევრებს ემსჯელათ. სამწუხაროდ ბატონმა მურადმა არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა და მომხსენებელმა წევრებს მიმართა, რომ ბატონი მურადის მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით, მიუკერძოებელი და სამართლიანი მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, ემსჯელათ და დასმულ კითხვებზე, გამგეობის თითოეულ წევრს დაეფიქსირებინა მოსაზრება და მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. იქვე განაცხადა, რომ

რადგან სხდომას ბატონი მურადი არ ესწრებოდა მიზანშეწონილი იყო სხდომის აუდიო/ვიდეო ჩაწერა და ბაფის ადმინსტრაცის თხოვა მისი უზრუნველყოფა.

თავმჯდომარის მიერ სხდომაზე სამსჯელოდ გამოტანილი საჯარო განცხადებებიდან ამონარიდები და მასთან დაკავშირებული კითხვები ოქმს თანერთვის.

გაიმართა მსჯელობა, სადაც სხდომის მონაწილე გამგეობის ყველა წევრმა დააფიქსირა პოზიცია, რომლის შემდეგაც შეჯერდნენ გადაწყვეტილებისათვის კენჭისყრაზე დასაყენებელი საკითხების ფორმულირებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

1. **როგორ ვაფასებთ, ბატონი მურად ნარსიას, როგორც ბაფის წევრის ქმედებებს, კერძოდ მის მიერ - ბაფის, მისი დამფუძნებლებისა და გამგეობის წევრების მიმართ - საჯაროდ გამოთქმული შეფასებებით, შეილახა თუ არა პროფესიული ორგანიზაციისა და მისი გამგეობის რეპუტაცია?**
   დიახ
   არა
   თავს ვიკავებ

კენჭისყრის შედეგები:

გამგეობის 12 წევრიდან კენჭისყრაში მონაწილეობდა -11

დიახ -10

არა-0

თავი შეიკავა -1 (მიხეილ აბაიაძე)

2. **მიგაჩნიათ თუ არა და მიზანშეწონილად თვლით, თუ არა, რომ ეს - ბაფის წევრისათვის, მითუმეტეს გამგეობის წევრისათვის შეუფერებელი ქცევაა და შეუსაბამოა თუ არა ბაფის წევრისადმი წაყენებულ ეთიკურ მოთხოვნებთან - საკითხი განსახილველად მოკვლევისთვის გადაეცეს ბაფის ეთიკისა და დისციპლინარული მოკვლევის კომიტეტს.**

კენჭისყრის შედეგები:

   გამგეობის 12 წევრიდან კენჭისყრაში მონაწილეობდა - 11
   დიახ -11
   არა-0
   თავი შეიკავა -0

3. **გასაჯაროვდეს თუ არა ბაფის 2022 წლის 6 დეკემბრის გამგეობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები?**

კენჭისყრის შედეგები:

გამგეობის 12 წევრიდან კენჭისყრაში მონაწილეობდა - 11

დიახ -11

არა-0

თავი შეიკავა -0

საკითხი 3: მიმდინარე საკითხი

წესდების ცვლილებების პროექტზე დებატების წარმართვის საკითხებზე აზრთა შეჯერება.

მოისმინეს 3: რუსუდან ჟორჟოლიანის წინადადება, რომ ემსჯელათ საერთო კრებამდე ბაფის წევრებთან შეხვედრის საჭიროებასა და მის ფორმატზე, გამოქვეყნებული წესდების ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ გამგეობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ წესდების ცვლილების პროექტი, შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, წარედგინება საერთო კრებას, სადაც ცალკეულ მუხლზე მსჯელობა და დისკუსია გაიმართება. თუმცა, დღევანდელი სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხზე მსჯელობისას წარმოდგენილი ინფორმაცია და მასზე ჩვენი გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ წევრებს ცვლილებების პროექტზე, ინდივიდუალურად და საჯაროდ, მიეწოდებათ მიკერძოებული და რიგი არასწორი ინფორმაციები, რაც ხელს უშლის წევრებს, ცვლილების საკითხების მიუკერძოებლად, მოსაზრებებზე ზეგავლენის გარეშე განხილვებში, საიდენაც იკვეთება აუცილებლობა, წევრებთან ონლაინ ფორმატში ორგანიზებული შეხვედრის მიზანშეწონილობაზე, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ვისაუბროთ ცვლილებების საფუძვლებზე და მის მნიშვნელობაზე პროფესიის მომავალი განვითარებისათვის.

საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა.

მიღებული გადაწყვეტილება:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ბაფის წესდებაში ცვლილებების პროექტზე წევრებთან შეხვედრის ორგანიზება;
2. ეთხოვოს ბაფის აღმასრულებელ დირექტორს უზრუნველყოს შეხვედრის ორგანიზება და ადმინსტრირება.

სხდომის თავმჯდომარე - რუსუდან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი - შორენა გამიაშვილი